გია არგანაშვილი
Gia Arganashvili
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

რამდენიმე დეტექტიური ეპიზოდი ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებიდან

Several Detective Episodes from Aleksandre Chavchavadze's Life

DOI: https://doi.org/10.62119/lr.45.2025.9977

The biography of some writers appears to us as a chronicle of great political and state events. This becomes particularly noticeable when this or that episode of the creator's life relates to the struggle for a great humanitarian idea or to save the country and involves self-sacrificial action.

Literary history is well acquainted with the life of English poet George Byron. It is also known that he directly participated in the Italian people's struggle against Austrian rule, then the poet went to Greece to participate in the Greek people's national liberation struggle, where he became ill and died.

The life of Hungarian poet Sandor Petofi remains a symbol of heroism and self-sacrifice. He was one of the leaders of the national liberation struggle directed against Austrian rule and died on the battlefield, so that his comrades could not even find his body.

In both the first and second cases, the biographers of these poets specifically note these episodes of their lives and give very high praise to their decisions.

We think it is also admirable that our romantic poet Alexandre Chavchavadze participated in the national liberation struggle in his youth, regardless of how his life continued afterward, how faithful he remained to his youthful aspirations.

Unfortunately, today's Georgian reader somehow passes indifferently by this episode of the poet's life, as if it was an ordinary story - an eighteen-year-old young man from the highest aristocratic family fleeing from home and joining the rebellious Mtiulian units.

Geronti Qiqodze wrote: "Alexandre fled from his father and sided with the rebellious Mtiulians, who were led by Prince Pharnaoz." However, we

do not know what the researcher meant by "fleeing from his father" - should these words be understood literally or does it mean leaving home without permission; was this protest momentary or was there some internal confrontation between father and son, between Garsevan and Alexandre Chavchavadze; was fleeing to Mtiulians caused by patriotic feeling or did youthful romanticism predominate more in Alexandre's decision.

It should also be said that this incident did not pass without a trace in Alexandre Chavchavadze's life. The young poet was properly punished for his actions. His creative work was often inspired precisely by this episode. Many of the poet's poems directly echo his romantic step.

It is true that years later, in a report sent to the emperor, the poet "repented" this youthful step: "I left my parents and fled... This was, I think, in 1803, under the bad influence of some misguided youth I sided with Prince Pharnaoz who was in Mtiuleti at that time," however, the poet's subsequent life and especially his creative work can be considered precisely as an echo and a kind of justification of that "wrong step."

This is precisely what we will try to prove in this article. For this purpose, let us study more deeply Alexandre Chavchavadze's life itself, this episode of his biography, as well as the entire history of Garsevan Chavchavadze's diplomatic service, his role in Georgian-Russian relations and possible participation in the entire process shrouded in secrecy until the day of the abolition of the monarchy in Georgia. The reader will undoubtedly be interested in Alexandre Chavchavadze's personal relationship with the princes of the Kingdom of Kartli-Kakheti as well as the causes and goals of the Mtiulian rebellion.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბაგრატიონთა დინასტია, მეფობის გაუქმება, მთიულეთის აჯანყება, გეორგიევსკის ტრაქტატი

Key words: Alexandre Chavchavadze, Bagrationi dynasty, abolition of monarchy, the Mtiulian rebellion, Treaty of Georgievsk

ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში არის ერთი ბოლომდე აუხსნელი, დეტექტიური ეპიზოდი, რომელსაც დღევანდელი მკითხველი რატომღაც გულგრილად გვერდს უვლის, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყოს იმდროინდელი უმაღლესი არისტოკრატიული წრის ოჯახში 18 წლის ყმაწვილის სახლიდან გაქცევა და რუსული იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიულთა რაზმებთან შეერთება. გერონტი ქიქოძე პირდაპირ მიუთითებს, *„1804 წლის სექტემბერში ალექსანდრე თავის მამას გაექცა და აჯანყებულ მთიულებს მიემხრო, რომელთაც ბატონიშვილი ფარნაოზი მეთაურობდა“* (ქიქოძე, 1985, გვ. 306). იოსებ გრიშაშვილი ალექსანდრეს ამ ნაბიჯს გაპარვად აფასებს: *„1804 წლის 14 სექტემბერს გაიპარა ფარნაოზ ბატონიშვილთან და შეუერთდა მთიელ აჯანყებულებს, რომელთა საერთო მისწრაფება იყო საქართველოს სამეფოს აღდგენა და ცარიზმის აგენტების განდევნა დედაქალაქიდან“* (გრიშაშვილი, 1985, გვ.352). ალექსანდრეს მამა გარსევან ჭავჭავაძე კი ასე ხსნის და ამართლებს თავისი შვილის საქციელს იმპერატორ ალექსანდრესადმი მირთმეულ წერილში, როდესაც ტამბოვიდან მის გათავისუფლებას ითხოვს: *„წარვგზავნე ძე ჩემი ტფილისით კახეთად ქორწილსა შინა ცოლის ძმისა ჩემისა, სადაც მიმთხვეოდა მეფის ძე ფანაოზ და შიშისა გამო იძულებული შესდგომოდა მას, რომელთაცა სუროდათ მათ ბიწიერყოფა ჩემი წინაშე დიდებულებისა თქვენისა...“* (გრიშაშვილი, 1985, გვ. 352).

თავად ალექსანდრე კი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში, რომელიც რუსულად არის დაწერილი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო პატიმრობის დროს, მთიულეთის აჯანყებაზე და ფარნაოზ ბატონიშვილთან გაქცევის თაობაზე წერს: *„მივატოვე მშობლები და გავიქეცი... ეს იყო, მგონი, 1803 წელს. ზოგიერთი გზააბნეული ახალგაზრდის ცუდი გავლენით მივემხრე ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს მთიულეთში იმყოფებოდა, არაგვის ხეობაში. მე მოწადინებული ვიყავი ბატონიშვილ ფარნაოზს გავყოლოდი სპარსეთში. მაგრამ ჩემს იღბალზე მეც დამიჭირეს და ბატონიშვილთან ერთად ჩამომიყვანეს თბილისში“* (ცენტრალური არქივი, შეთქმულების საქმე, რვეული 8, გვ. 1368) (ტოგონიძე, 1951, გვ. 129).

აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ როგორც გარსევანის, ასევე თავად ალექსანდრეს ახსნა ნაკლებად იმსახურებს ნდობას, რადგან თითოეული მათგანი „ჩვენების“ მიცემის დროს არათავისუფალ გარემოში, ერთგვარ თავდაცვის რეჟიმში იმყოფებოდნენ, სადაც გულწრფელი პასუხი უთუოდ დაამძიმებდა მათ მდგომარეობას.

ამიტომ ჩვენ კიდევ არ ვიცით სახლიდან მამისგან დაუკითხავად წასვლა (სულ ერთია გაქცევას დავარქმევთ თუ გაპარვას) პროტესტად უნდა ჩავუთვალოთ ახლგაზრდა თავადს თუ მამა-შვილს შორის რაღაც სერიოზულ დაპირისპირებაზე უნდა ვიფიქროთ; პატრიოტული გრძნობით იყო გამოწვეული აჯანყებულების გვერდით ყოფნა თუ თუ ჭაბუკური რომანტიზმი ჭარბობდა ახალგაზრდა ალექსანდრეს ქცევაში?! და საერთოდ, რამ აიძულა დიდი მემამულე, გამოჩენილი გვარის ჩამომავალი, ეკატერინე მეორის ნათლული, ევროპულად აღზრდილი დესპანის ვაჟი, რომ რუსეთის წინააღმდეგ იარაღი აეღო?

ამ კითხვაზე პასუხს ისევ იოსებ გრიშაშვილი იძლევა, როდესაც ალექსანდრეს მთიულეთში გაქცევისა და აჯანყებულებთან შეერთების მიზეზს თამამად და და დაუფარავად გვიცხადებს: *„ახალგაზრდა ალექსანდრეს თავის ტოლებისგან სულ ის ესმოდა, რომ „მამაშენი მოღალატეა“, „მამაშენმა გაგვყიდა“, „შენც მოღალატის შვილი ხარ“ – ჭაბუკი ალექსანდრეც, როგორც წამოშობით მთიელი, აჰყვა ბატონიშვილ ფარნაოზს და პატრიოტული გრძნობით აღგზნებული მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა“*(გრიშაშვილი, 1985, გვ. 362).

ალექსანდრეს „წარმოშობით მთიელობა“ არაფერს მატებს მის ამ გადაწყვეტილებას, რადგან ალბათ ნებისმიერი ახალგაზრდა შეეცდებოდა მამის რეპუტაციის დაცვას, თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ 18 წლის თავმომწონე ქართველი თავადიშვილისთვის ასე ადვილად ვინმეს გაებედა იმის თქმა, „მამაშენი მოღალატეა“ და „შენც მოღალატის შვილი ხარო...“ დღევანდელი მკითხველი გარსევან ჭავჭავაძეს იცნობს როგორც ცნობილ დიპლომატს, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩს რუსეთის იმპერიაში, გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადების და ხელმოწერის უშუალო მონაწილეს და, ბუნებრივია, მის მიმართ წაყენებული ეს ბრალდებაც მის ამ საქმიანობას, ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, უშუალოდ კი მეფობის გაუქმებას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც, ეჭვგარეშეა, რომ მრავალი სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული. გარსევან ჭავჭავაძეს კი ამ ბრალდებაში ერთ-ერთ პირველ დამცველად პლატონ იოსელიანი ევლინება. ისტორიკოსის, ფილოსოფოსის და საზოგადო მოღვაწის, გიორგი მეთორმეტის კარის მღვდლის შვილის ვრცელი განმარტება ამ საკითხზე მის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ იკითხება: *„დრო და არქივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენ მაღლად იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზეედა ქართველთა. რაცა მე ვიცი არქივისა საქმეთაგან, – რომელთაცა მე, აღმწერელი მე-*

ფისა ცხოვრებისა, არა შევეხები – ვიტყვი გარსევნისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა. მგმობელი მისი სცოდავს... (იოსელიანი, 1936, გვ. 152). თუმცა მართალი იყო თუ არა გარსევანი, ეს დღემდე გაურკვეველი დარჩა. დაპირისპირება ამ საკითხზე ორი საუკუნეა გრძელდება. ერთი მხრივ, მისი მოწინააღმდეგენი – დარეჯან დედოფალი, ბატონიშვილები, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, ანტონ ფურცელაძე და სხვანი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მომხრენი – მეფე გიორგი მეთორმეტე, პლატონ იოსელიანი, იოსებ გრიშაშვილი და მრავალნი კიდევ... მათი მოგონებები, ისტორიული ნარკვევები, ლიტერატურული წერილები და ახლა უკვე სოციალური ქსელებიც გაჯერებულია გარსევან ჭავჭავძის ბრალმდებელთა და დამცველთა არგუმენტებით, ძველ მომჩივანთ სიმართლის ახალი მაძიებელნიც ემატებიან და ჩვენი მსჯელობაც ამ საკითხზე ცეცხლზე ნავთის დასხმას დაემსგავსება, თუ ჭორ-მართალის ორსაუკუნოვან გორგალს ბოლომდე ჩავყვებით და სიმართლის გარკვევას შევეცდებით.

ვფიქრობ, ამ საკითხის კვლევა-ძიება მაინც ისტორიკოსებს უნდა დავუთმოთ, ჩვენ კი ალექსანდრეს ცხოვრებას გავყვეთ იმ ვარაუდის უეჭველობის შესამოწმებლად, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი პოეტის ბიოგრაფებს შორის. ეს იყო აჯანყებულთა გვერდით დგომა მამის რეპუტაციის გადასარჩენად, რომელიც კარგად ჯდებოდა როგორც მეფის რუსეთის, ასევე საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ ჩარჩოში, რომლის ძალითაც „ზედმეტი“ ეროვნულობა როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში ცუდად ახასიათებდა იმპერატრიცას ნათლულის და გენერალ-ლეიტენატის სახელს. ამიტომ მისი შემოქმედება თავიდანვე ბახუსს, ფეოდალურ არისტოკრატიას და სატრფიალო ჰანგებს დაუკავშირეს. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შეფასება ერთგვარად აკნინებს 18 წლის ახალგაზრდის თამამ გადაწყვეტილებას ბატონიშვილებთან ერთად ებრძოლა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ, ერთგვარი ვალდებულების სახეს სძენს მის უანგარო თავგანწირვას და თავისუფალი ნების გამოვლენის უნარს უკარგავს, რომელიც მუდამ თან სდევდა ცხოვრების ყველა ეტაპზე პოეტს, როგორც ქართველ საზოგადო მოღვაწეს და, თუნდაც, რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსან მოხელეს.

ამაში დასარწმუნებლად თვალი უნდა გავადევნოთ პოეტის ცხოვრებას იმდროინდელი საქართველოს მძაფრი პოლიტიკური და სოციალური რყევების, რუსეთ-საქართველოს ჯერ კიდევ მტერმოყვრული

ურთიერთობის და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური და კულტურული დაპირისპირების და სხვა ეპოქალური მოვლენების გათვალისწინებით, რომელთა შეხვედრისა და კონფლიქტის ხაზმა იმდროინდელ საქართველოზე, მის თითოეულ მცხოვრებზე და უშუალოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებაზე გაიარა.

მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფია და იმდროინდელი საქართველოს ისტორიაც. ეს ტექსტები სხვადასხვა დროს იქმნებოდა. მართალია, წარსულში მომხდარი ფაქტები და მოვლენები დროში აღარ იცვლება, მაგრამ რაც უფრო ვშორდებით იმ ეპოქას, საგნები და მოვლენები თავიანთ გამოსახულებას და მნიშვნელობებს იცვლიან. მათი სიდიდის და ფორმის, მდგომარეობის მოჩვენებითი ცვალებადობა კი დამკვირვებლისგან მათი დაშორებით არის გამოწვეული. განვლილი ორასი წლის განმავლობაში კონკრეტულმა ფაქტებმა და მოვლენებმა თითქოს სიცხადე დაკარგეს, ეპოქალურმა მოვლენებმა ისტორიისთვის „წვრილმანი“ ამბები მთლიანად გადაფარა. ჩვენ სწორედ ამ მოვლენების ფონზე გვინდა დავინახოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტი.

დავიმოწმებთ იონა მეუნარგიას, რომელიც სწორად შენიშნავს ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის თხრობის დროს: *„ვიღაც ენამახვილმა, ფრანცუზების მწერალმა თქვა: „როდესაც დანტონი ტანთ გაიხდიდა რევოლუცია შიშველი იყოო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა, მის დროს, თუ შიშვლად არა, შინაურულად მაინც დაგვანახებს* (მეუნარგია,1937, გვ. 21).

* * *

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მიწურულს) ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრესი გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად XVII საუკუნეა მიჩნეული, უშუალოდ კი როსტომ მეფის (1634 წ) მოღვაწეობა, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად გადიქცა. სწორედ ეს პერიოდი შეგვიძლია ჩავთვალოთ ქართული ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის დასაწყისად. ისტორიკოსები გარკვეული პროცესის ზუსტი დათარიღებისგან ყოველთვის თავს იკავებენ. მხოლოდ ლიტერატურას შეუძლია სულიერი გარდატეხის წერტილის მონიშვნა და ასეთ მიჯნად ქეთევან დედოფლის წამების თარიღის (1624) დადება, როგორც საუკუნებრივი შიშის დათრთგუნვა და საქართველოში ანტი-

სპარსული მოძრაობის დასაწყისი. აქედან მოყოლებული მუდმივად ძლიერდებოდა ეს ხაზი, ვიდრე მეფე ერეკლემ არ განიზრახა სამუდამოდ ჩამოსცილებოდა მუდმივ „პატრონს“ და სპარსეთისათვის მტრული გზით წასულიყო. თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ერეკლე მეფეს აზიისა და სპარსეთის ალტერნატივად მხოლოდ რუსეთი ესახებოდა. ცნობილია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ის ცდილობდა კავშირის დამყარებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან, თუმც მისი ყოველი ამგვარი ნაბიჯი წარუმატებელი გამოდგა.

ქართველი საეკლესიო მოღვაწე და სასულიერო პირი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრი რაფიელ ივანიცკი (ფსევდონიმი რ. ინგილო) ემიგრაციაში ყოფნის დროს 1832 წლის შეთქმულების 100 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ „კავკასიონში წერდა:

> „ერეკლე მეფემ იცოდა, რომ ერთი ნაწილი პოლიტიკური მოღვაწეებისა სოლომონ ლეონიძის მეთაურობით აშკარად თანაუგრძნობდა სპარსეთთან კავშირის აღდგენას, ეს ჯგუფი იმ ჰაზრისა იყო. რომ ძველ შეჩვეულ მეზობლებთან საერთო ენის გამონახვა და ის, რასაც მოდუს ვივენდის ეძახიან, ადვილად შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ ერეკლე მეფის საქართველოს ძალაცა და უნარიც შესწევდა თავის ღირსებისა და სამკვიდრებელის დასაცავად. ესევე ჯგუფი თავიდანვე ალმაცერად უცქერდა რუსეთთან დაახლოვებას. 1783 წლის ხელშეკრულების მომდევნო ფაქტებმა კი იგი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ ჩრდილოეთის ერთმორწმუნე იმპერია ორპირი და გაუტანელია. გარნა მეფე უფრო რუსეთის მომხრეთაკენ იხრებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსოფილური ჯგუფი თანდათან ფეხს იკიდებდა სამეფოში და გავლენასაც ჰპოებდა. მას ნიჭიერად ხელმძღვანელობდა პეტერბურგში თავადი გარსევან ჭავჭავაძე, ხოლო საქართველოში ამავე ჯგუფს მეთაურობდნენ თვით დესპანის სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი და უფრო მუყაითად ტახტის მემკვიდრის სიმამრი გოგია ციციშვილი“ (ინგილო, 1932, გვ.10).

აქ ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება გაყოფილი იყო ორ ნაწილად და როგორც სპარსული, ასევე რუსული ორიენტაციის მიმართულებას სამეფო ოჯახის წევრთა თუ ადგილობრივ დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი

უჭერდა მხარს, მათი ინტერესის განმსაზღვრელი არა გარკვეულ შეხედულებათა თუ ღირებულებათა სისტემა, არამედ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების ფიქრი იყო. წლების შემდეგ საქართველოს იმჟამინდელ მდგომარეობას ზუსტად აღწერს ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნება სწორედ სამეფო კარზე დაწყებულ არეულობას დაემთხვა, რომელიც გიორგი მეთორმეტის გამეფებით იყო გამოწვეული:

> „საზოგადოების მმართველი პირნი ძირითადად პირადი ანგარებით ხელმძღვანელობდნენ, მაშინაც კი, როცა საქმე ხალხის კეთილდღეობას ეხებოდა. ამავე გზას ადგა თავადაზნაურობა, რომელიც ძირითად ორ პარტიად იყო გაყოფილი:
>
> ერთი პარტია გიორგი XII – ის სიკვდილის შემდეგ მოუთმენლად ელოდა ჩვენში რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას. ეშინოდა ტახტზე ბატონიშვილი დავითი არ ასულიყო, რომელმაც ყოველგვარი პატივისცემა დაკარგა იმით, რომ მოურიდებლად გაამხილა თავისი უსაფუძვლო ზრახვები.
>
> მეორე პარტიას პირიქით – მეფობის შენარჩუნება უნდოდა, მაგრამ ისე, რომ მეფე მთლიანად რუსეთის მორჩილი ყოფილიყო, ხოლო საქართველოს მმართველობა ადგილობრივი კანონებით განხორციელებულიყო. მაგრამ ამ პარტიის თითოეულ მომხრეს მისადმი კეთილგანწყობილი ბატონიშვილის გამეფება სურდა და სულაც არ დაეძებდა ჰქონდა თუ არა ამ ბატონიშვილს საამისო უფლება და უნარი“ (ჭავჭავაძე, 1992, გვ. 86).

აქ ბატონიშვილების როლსა და გავლენაზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რადგან საქართველოში მეფობის გაუქმებაში სხვებთან ერთად მათაც ედებათ ბრალი, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან უკვე კარგად არის გამოკვეთილი, თუ რა იყო მათი მიზეზით და რაში სდებს მათ უსაფუძვლო ბრალს ისტორია და შთამომავლობა.

მეფე ერეკლე მეორის სამ ცოლთაგან შვილების მრავალრიცხოვნობა, ასევე მეფე გიორგი მეთორმეტის ძეთა და ასულთა სიმრავლე იყო მიზეზი, ერთი მხრივ, სამეფო კარის გაძლიერებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი დაცემისა. ცნობილია, რომ სამეფო ოჯახის სიმრავლემ გამოიწვია ქართლის და კახეთის ნათესაური კავშირების გაძლიერება, რადგან მეფის ასულნი ქართლის თავადთა სახლებში გათხოვდნენ, ხოლო მეფეთა ძეებმა მათი ასულები მოიყვანეს ცოლებად:*„ესრეთ*

დაკავშირდა ქართლი და კახეთი ერთობითა თავადთა და სამეფოისა სახლისა მძახლობითა და მოყვრობითა. ამან კავშირმან დაავიწყა ქართლისა მეფისა გვარი, დაშთენილი რუსეთსა 1724 წლიდან; ამან ერთობამან ნათესაობითმან მოსპო თქმულობა ქართლისა ერისა: ირაკლი მამა კახეთისა და მამინაცვალი ქართლისა" (იოსელიანი, 1937, გვ 13).

მეორე მხრივ, სამეფო ოჯახში ძეთა და ასულთა სიმრავლემ დაბადა ურთიერთმტრობა და შური, რადგან მეფესთან დამოყვრებული თავადები აღარ ემორჩილებოდნენ სამეფო მოხელეებს – მდივან-ბეგებს, მდივნებს, მოურავებს, ციხის მცველებს. ბატონიშვილები აღარაფრად აგდებდნენ პირმშოობისა და მემკვიდრეობითობის წესსადათს, ხოლო სადაც მეფის ძენი და მათი კარისკაცები ამკვიდრებდნენ თავიანთ უფლებებს, იქ კანონი აღარ კანონობდა.

> „თითოეულ ბატონიშვილს თავისი თავადების ჯგუფი ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. 1791 და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც შეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან, ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით ერეკლემ ტახტის მემკვიდრეობის წესი შეცვალა. ამიერიდან სამეფო ტახტი მამიდან შვილზე კი არ უნდა გადასულიყო, არამედ გვარში უფროსს უნდა სჭეროდა. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო, და ერეკლემ ხელმოწერის უმალვე უარყო ის. სამაგიეროდ, დარჩა მეორე კანონი: თითოეულ უფლისწულს მეფემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის - 4.000 კომლი. ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციული ფეოდალების ხელში ექცეოდა, ვიდრე თავადები იყვნენ. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მოჰქონდათ. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად»!" (ტოგონიძე, 1951, გვ. 14).

ბატონიშვილებისთვის საუფლისწულოების გადაცემით, საფიქრებელია, რომ მეფე ცდილობდა ხელისუფლების განმტკიცებას, რადგან თვითონ მუდმივად გარეთ ყოფნა უწევდა. თუმცა სულ მალე ცხადი გახდა, რომ ეს სისტემა დამღუპველი იყო ქვეყნისთვის და თავად სამეფოსათვის. საუფლისწულოებში გაძლიერებულმა ბატონიშვილების უმეტესობამ თავი სუვერენებად მიიჩნიეს და ცენტრის განკარგუ-

ლებს აღარ ემორჩილებოდნენ. გიორგი მეთორმეტის გამეფებას დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდნენ ძმები და დედინაცვალი დარეჯანი. ისინი მეფეს ოპოზიციაში ჩაუდგნენ. მათ აქეზებდა ქვრივი დედოფალი დარეჯანიც, რომელმაც იცოდა გიორგი მეფის უარყოფითი შეხედულება არსებული მემკვიდრეობითი კანონისადმი, იცოდა ისიც, რომ თავად განსვენებულ მეფე ერეკლესაც ბოლო წლებში შეეცვალა აზრი ამ კანონის სარგებლიანობაზე.

> „1799 წლის დეკემბერს გიორგი მეფემ საზეიმოდ დასდო რუსეთის ტახტისადმი ერთგულების ფიცი. გიორგის თხოვნის თანახმად, პავლე I-მა მის მემკვიდრედ დაამტკიცა ბატონიშვილი დავითი. ამ გარემოებამ მეტად გაართულა გიორგის მდგომარეობა. დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ გიორგი მეფის ძმები ააჯანყა. ბატონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და გიორგი მეფისადმი მტრობას დაუღალავად აღვივებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლეს ძე) ირანის შაჰთან გაიქცა. ბაბახანმა დიდი ხალისით იკისრა ერეკლეს შვილთა უფლების ცრუ ქომაგობა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას“ (ტოგონიძე, 1951, გვ 20).

საქართველოს საშინაო მდგომარეობა შესანიშნავ საფუძველს ქმნიდა იმისთვის, რომ რუსეთის იმპერიას თავისი გეგმა განეხორციელებინა. ეს გეგმა საქართველოს სრულ დაპყრობას ისახავდა მიზნად. ეს კი ისეთნაირად უნდა მომხდარიყო, რომ ქართველებს დამნაშავის ძიება თავის რიგებში დაეწყოთ, ისედაც ერთმანეთში დაპირისპირებული პარტიები თუ დაჯგუფებები საშვილიშვილოდ და საისტორიოდ გადაჰკიდებოდნენ ერთმანეთს და ამ მოვლენებიდან ორასი წლის შემდეგაც ისევ იმაზე ედავათ, შეცვალა თუ არა გარსევანმა ჭავჭავაძემ მეფე გიორგის წერილი, ითხოვდა თუ არა გიორგი მეფე სამეფოს გაუქმებას და მრავალი სხვა.

დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ საქართველოდან გაგზავნილი არცერთი დოკუმენტი, მათ შორის არც გიორგი მეთორმეტის მიერ გაგზავნილი „სათხოვარი პუნქტები“ არ ითვალისწინებდა (არ არსებობს ამის არავითარი მტკიცებულება) ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს სამეფო ტერიტორი-

აზე გუბერნიის ჩამოყალიბებას. გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც წუხდა, რომ საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა გამტკიცებულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოში თავის წარმომადგენელს კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისათვის ერჩია მუდმივი ლაშქარი დაეარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. თუმცა რუსეთის იმპერატორი თავის პოლიტიკას იმავე კოვალენსკის ხელით აწარმოებდა, რომლითაც საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა სრულ სახელმწიფოებრივ უუნარობამდე, რასაც თავისი შედეგი უნდა მოეტანა.

„კამერჰერმა გრაფმა მუსინ-პუშკინმა იმპერატორ პავლეს წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაური მთების მდიდარ მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. როდესაც საქართველოს ადგილობრივ სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და „სამოთხის მსგავსი ჰავა“, მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს დაეპყრო. მაშინ რუსეთი მდიდარს ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებოდაო იმიტომ, რომ ორთავე მხრივ ჩაჭერილნი ისინი ვეღარას გაბედავდენ, ოსმალეთთან, ან სპარსეთთან ომის დროსაც რუსეთს დიდი სამხედრო უპირატესობა ექმნებოდა. მაგრამ ამას გარდა რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო*) (Бутковъ. Матеріалы II, 463-464). მაშასადამე ჩვეულებრივს ეკონომიურს ინტერესებს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული“ (ჯავახიშვილი, 1919, გვ.59).

ცარიზმს უკვე განზრახული ჰქონდა გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე მემკვიდრე დავითი დაემტკიცებინა არა მეფის უფლებით, არამედ მას მისცემოდა გენერალ-გუბერნატორის წოდება. ამრიგად, ცარიზმს მტკიცედ ჰქონდა წინასწარ გადაწყვეტილი გიორგის გარდაცვალების შემდეგ ახალი მეფე აღარ დაემტკიცებინა, საქართველო კი გამოეცხადებინა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად და აქ დაეწესებინა საგენერალ-საგუბერნატორო.

> „18 დეკემბრს 1800 წ. პავლე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ გიორგი მეფეს წინდაწინვე დამზადებული გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიაც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს შეთხზული გეგმა ჩაიფუშა: გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქაღალდი მას თვალითაც არ უნახავს, რათგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ საქართველოში ჩამოსული არც კი იყვნენ (Бутковъ. Матеріалы II, 465) (ჯავახიშვილი, 1919, გვ. 60).

იმპერატორ პავლეს გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა იმის იმედი, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობა „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებულიყო, ქართულ საქმეს კიდევ ერთხელ გაუჩნდა გადარჩენის შანსი იმ შემთხვევაში, თუ ახალი იმპერატორი არ დაამტკიცებდა წინა იმპერატორის განჩინებას საქართველოს შესახებ, თუმცა... 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის „ისტორიული“ მანიფესტი „რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ“. მანიფესტი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ცარიზმის თვალთმაქცობის კლასიკური ნიმუში, აცხადებდა: *„არა ძალების შემატების მიზნით, არა ანგარებით, არა საზღვრების გადიდებისათვის მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიისა, ვიღებთ ჩვენს თავზე საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმინდა მოვალეობას შევისმინოთ ტანჯულთა ღაღადი, მათი მწუხარების აღმოსაფხვრელად დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს განამტკი-*

ცოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უშიშროება და მისცეს თითოეულს კანონის მფარველობათ!“ (ტოგონიძე, 1951, გვ. 39).

ახალი იმპერატორის ეს სიტყვები რატომღაც მეტისმეტად დამაჯერებელი გამოდგა ქართველობისთვის, ანდა ზედმეტი გულუბრყვილობა იყო იმის მიზეზი, რომ ბატონიშვილ იულონს ბოლომდე სჯეროდა, რომ სიმართლემ და ჭეშმარიტებამ იმპერატორის უმაღლეს კარამდე ვერ მიაღწია, ბოროტმა მოხელეებმა პირადის ანგარიშით შეჰკრეს გზა და ამის გამო სიმართლე ვერ გაიგო იმპერატორმა ალექსანდრემ... ასეთი ეჭვი და ფიქრი ცხადად გამოთქვა ბატონიშვილმა იულონმა ერთ თავის წერილში, რომელიც ქართულადაცაა დაბეჭდილი:

„საფუძველი უბედურებისა ჩვენისა აღშენებულ იქმნა ამასს ზედა, – სწერს ბატონიშვილი იულონი მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს: – რომელ ჭეშმარიტება ჩვენი და ყოველსა საქართველოსა აზრი შეერთებული ვერ მიწევნილ იქმნა უმაღლესისა კარისადმი, აქ იულონი ავად იხსენიებს კავკასიის ლეინიის ინსპექტორს კარლ თეოდორეს-ძეს კნორინგს და აბრალებს, რომ ჩვენ ელჩებს არ უშვებდა პეტერბურგსა და ამისათვის იმპერატორმა ვერ გაიგო. ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ერს არა სურს მეფობის მოსპობაო; თვით ხელმწიფე იმპერატორი არ დაჰზოგეს, სწუხს იულონი, შეაცდინეს, და იძულებულ ჰყვეს ეთქვა უმაღლეს მანიფესტში ესეთი „შეუფერებელი და შეუსაბამო სიტყვები, ვითომც საქართველო, შეიერთა რუსეთმა იმპერიის გავრცელებისათვისა და სარგებლობისათეის კი არა, არამედ იმიტომ, რომ თვით საქართველოს ერი ღაღადებით თხოულობდა მეფობის მოსპობასა, რადგაჩ ტახტის მემკვიდრეთა შორის სუფევდა დიდი განხეთქილებაო. არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის და ჭეშმმარიტებასაა მოკლებული“, – ამბობს ბატონიშეილი იულონი. ეს მტკნარი სიცრუე მოხელეებისა და საქართეელოს მტრების მოჭორებულია. საქართველოს არასოდეს არ მიუმართნია ღაღადით უმაღლესის ტახტისათვის, მოსპეთ მეფობა. არც ისაა მართალი, რომ მემკვიდრეთა შორის ატეხილმა შფოთმა და შუღლმა აიძულა იმპერატორი დაემხო და გაეუქმებინა ძველადგანვე გაბრწყინვებული ქრისტეანობით სამეფო, რადგან შუღლსა და შფოთს ალაგი არა ჰქონდა. წერილები მაქუს, ბოძებული მეფეთა ერეკლესა და გიორგისაგან, აგრეთვე „ცარევიჩი“ დავითისაგან და დანარჩენის ჩემის ძმებისაგან, რომ მეფედ მე უნდა ვიყვეო, –

ამბობს იულონი, – გამოიძიეთ ყველა აქ მოხსენებული, ვითარცა თვალმან ხელმწიფისამან და მაშინ დარწმუნდებით, მართალს მოგახსენებთ თუ არაო (ფრონელი, 1896, გვ. 215).

თუმცა იულონივით გულუბრყვილო როდი იყვნენ სხვა უფლისწულები და მათ შორის იოანე ბატონიშვილი, რომელმაც ზუსტად შეაფასა რუსეთის მოქმედება:

„სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა,
არც კი მოგვცეს კაცი ერთი,
ქართლ-კახეთსა არ დასჯერდნენ,
ზედ დაიდვეს იმერეთი...“
(ბაგრატიონი, 2014, გვ. 216)

* * *

დღევანდელი მკითხველისთვის შეიძლება ასახსნელი იყოს მეფობის გაუქმება ყველა თავისი შედეგით, რომელიც უპირველესად მმართველობის წესის შეცვლას გულისხმობდა, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის სამეფოს მიწებზე რუსეთის იმპერიის ახალი ტერიტორიული ერთეული-საქართველოს გუბერნია-ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ხუთ მაზრად – გორის, ლორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის – გაიყო. მაზრებს განაგებდნენ კაპიტან-ისპრავნიკები, ხოლო ქალაქებში დაინიშნენ პოლიციის კომენდანტები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ ქალაქის უფროსის ფუნქციები. მაზრებში ასევე შეიქმნა სამაზრო სასამართლოები და პოლიციის სამმართველოები, სადაც ხელმძღვანელებად რუსი მოხელეები იყვნენ დანიშნულები.

„რუსების მოსვლამდე საქართველოში სამართლის წესი და რიგი მეტის-მეტად უბრალო და მარტივი იყო. სამართლის წარმოებას არც აგრე რიგად დიდი ხარჯი და ბორჯი უნდებოდა და არც ბევრი დრო. მომჩივანი საჩივრით პირდაპირ მიჰმართავდა მეფისგან განწესებულს ადგილობრივს მსაჯულს, პირადად მოახსენებდა თავისს გაჭირვებას და სამართალს მოსთხოედა. არც არზის წერა იყო საჭირო, არც ეექილი და თარჯიმანი და არც მაინც-და–მაინც კანონების ცოდნა, რადგან მსაჯული უფრო. ჩეეულებით და ადათით ხელმძღვანელობდა, ვიდრე ვახტა5გ მეფის კანონებითა. მსაჯული გზირის შემწეობით დაიბარებდა მოპასუ-

ხეს, პირისპირ ალაპარაკებდა ორთავეს, თუ საჭირო. იყო, გამოჰ-კითხავდა საქმის ვითარებას მოწმეთა, ან ადგილობრივ თვითონ-ვე დაათვალიერებდა სადავო. მამულს, თუ დავა მამულს შეეხე-ბოდა და მორჩა და გათავდა. ამგვარად საჩივარი ხშირად ერთს დღესა თავდებოდა და იმ წამსვე დაიწერებოდა მცირე ბარათი, რომელშიაც მოკლედ მოიხსენიებდნენ საჩივრის გარემოებას. იქ-ვე იწერებოდა მოპასუხის პასუხი, ჩვენება მოწმეთა და მსჯავრი მსაჯულისა (ფრონელი, 1896, გვ. 99).

ალექსანდრე ჭავჭავაძე გვიზიარებს იმდროინდელი საზოგადო-ების წარმომადგენელთა იმ ჯგუფის აზრს, რომლებიც პირად ინტე-რესებზე მაღლა იდგნენ და ხალხის განწყობილებას და პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქვეყანაში ძირეული გარდაქმნა და თუნდაც უნაკლო წყობილების დამკვიდრება ყოველთვის როდია საკმარისი საზოგადოებისთვის სიკეთის მოსატა-ნად, ვინაიდან ნებისმიერ სიახლეს შეიძლება წინ აღუდგეს ისეთი დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა დიდი მსხვერპლის ფასად ჯდება. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი, ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, ენის უცოდინრობა იყო: *„მოსახლეობის მხრიდან რუსული ენის საერ-თო უცოდინრობას და თარჯიმანთა უკიდურეს იშვიათობას უსათუ-ოდ მოჰყვებოდა სასამართლო დაწესებულებათა ან სრული უმოქმე-დობა, ან ყოველ შემთხვევაში - მართლმსაჯულების წარმოების დიდი არევ-დარევა, რაც დაუყოვნებლივ წარმოშვებდა უნდობლობასა და უკმაყოფილებას ხალხში, რომელიც მიჩვეული იყო საქმის სწრაფსა და მარტივ გადაწყვეტას ზეპირად“*(ჭავჭავაძე, 1992, გვ. 87).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მდგომარეობა ზუსტად აღწერა ალექსანდრე ყაზბეგმა თავის მოთხრობებში. გამოკვე-თა წეს-ადათზე დაფუძნებული ყოფის სრული შეუგუებლობა „ზაკო-ნის“ სამართალთან, რომელიც უხეშად ანგრევდა მათი ცხოვრების არსებულ ტრადიციას, მორალისა და ზნეობის ნორმებს და ახალი ტი-პის ურთიერთობას ამკვიდრებდა. ამ და სხვა მრავალ მიზეზთა გამო 1804 წელს აჯანყება დაიწყო მთიულეთში, სწორედ იმ მხარეში და იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში, საიდანაც 8 წლის წინ სამასი არაგველის ძირითადი გუნდი შეიკრა კრწანისის ომში სპარსეთის ლაშქრის წინააღმდეგ საბრძოლველად და აი, მათი გმირობიდან მე-9 წლისთავზე მთიულები ისევ შეიკრიბნენ და სამასი არაგველის მსგავ-სად მათაც წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცეს, რომ ბოლომდე ებრ-

ძოლათ, ამჯერად უკვე რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ. აქ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მთიულეთის აჯანყების დროს ბატონიშვილები (როგორც ერეკლეს, ასევე გიორგის ძენი), რომელთა უმრავლესობა უკვე ერთსულოვანი იყო სამეფოს აღდგენის გადაწყვეტილებაში და ყველა მათგანი მხარს ფარნაოზს უჭერდა. ამ შინაგანი ერთსულოვნების გათვალისწინებით, 1804 წელი საუკეთესო დრო იყო მეფის ტახტის დასაბრუნებლად, შესაბამისი ერთსულოვნება რომ ყოფილიყო საქართველოს კუთხეებსა და ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას შორის.

ჩვეულებრივ, 1804 წლის მთიანეთის აჯანყებას „მთიულეთის აჯანყებას“ უწოდებენ. მთიულეთი, როგორც ტერიტორიულ-გეოგრაფიული ცნება, ეწოდება იმ ადგილს არაგვის ხეობაში, რომელიც მდებარეობს ფასანაურსა და მლეთას შორის, თუმცა, როგორც ცნობილია, აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ხეობებიც: ხანდო, ჭართალი, გუდამაყარი, ხადა, ცხაოტი, ქსანი, ხევი თრუსო, ქარჩოხი, ჟამური და სხვა, ე. ი. ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი.

აჯანყება დაიწყო (მაისის ბოლოს) მთიულეთში, მას ჰქონდა ანტირეჟიმული ხასიათი და მიმართული იყო რუსული მმართველობის წინააღმდეგ, ე.წ კაპიტან-ისპრავნიკების არაადამიანური მოქმედების გამო. ის დაიწყო სრულიად სტიქიურად და პირველ ეტაპზე მას ადგილობრივი ლიდერები მეთაურობდნენ. ბატონიშვილებმა, მათ შორის იმერეთში მყოფმა ფარნაოზმა და იულონმა, ბევრი არაფერი იცოდნენ ამ აჯანყების შესახებ. 1804 წლის 18 ივნისს ისინი გიორგი ამილახორს წერდნენ:

> „აგვიწერე დაწვრილებით მანდ მომხდარი ამბები: რას აკეთებენ ქართველები და როგორ არიან ისინი განწყობილნი ჩვენს მიმართ, ვისგან მოხდა არაგველების აჯანყება, ვინა ჰყავთ მოთავე? ხევსურები და ფშავლები თუ უწევენ მათ დახმარებას? განაგრძობენ ბრძოლას თუ დაიშალნენ? სად არიან შაჰი ან ჩვენი ძმა ალექსანდრე ჯარებით? სად არის ციციანოვი? რა ადგილებში არიან განლაგებულნი რუსთა ჯარები? ქართლი და კახეთი რას ჩადიან?.. სად არიან რუსები მცხეთის ზემოთ და რამდენნი არიან ისინი?“ (ტოგონიძე, 1951, გვ. 88).

როგორც ამ წერილიდან ვიგებთ, თავდაპირველად ბატონიშვილებს კავშირი არა აქვთ აჯანყებულებთან, ამიტომ ყოყმანობენ და

ფეხს ითრევენ, რათა მთიულებს შეერთდებოდნენ, თუმცა ბოლოს და ბოლოს მათ გადაწყვიტეს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა, თუმცა არც იმათ ეძინათ, ვისაც მათი დაჭერა მთავარმართებელმა ციციანოვმა დაავალა, როცა ის ერევანში მიდიოდა. მათ შორის მათი წერილის ადრესატი გიორგი ამილახორიც იყო, რომელიც ბატონიშვილებს ერთგულ მასპინძლად ეგულებოდათ. მათ ყარაულებით შეკრეს ფრონის ხეობანი და გულდამშვიდებულნი ელოდნენ, როდის შემოდგამდნენ იულონი და ფარნაოზი ფეხს ქართლში, რათა გაეთოკათ და მთავარმართებლისთვის წარედგინათ ტფილისში ხელ-ფეხშეკრულნი ძენი დიდებულის ერეკლესი.

სოფელ აბისთან დაბურულ და უღრან ტყეში, რომელსაც საწურბლე ერქვა, ადგილობრივმა გამყიდველებმა რუსის მხედრობა დააყენეს თავზე ბატონიშვილების ამალას. თავდამსხმელებს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ, ბატონიშვილებს კი ოცამდე კაცი მოუკლეს, ხოლო იულონი, რომელიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ტყვედ აიყვანეს. ფარნაოზი გადაურჩა სიკვდილს და დატყვევებას, ეგერებისა და ყაზახების ხიშტებს, როგორც ამბობდნენ, უღრანმა ტყემ დამალა ახალგაზრდა ბატონიშვილი.

„არაფერი ვიცით აგრედვე, საითა ჰქნა პირი ტყვეობას გადარჩენილმა ბატონიშვილმა, რა გზა ამოირჩია, როგორ წავიდა მთიულეთს, ქვეითი, შეკაზმულის რაშით, როგორც შეეფერებოდა მეფის შვილსა, თუ უბელო. ცხენითაც ძლივს მოასწრო გასცლოდა მოულოდნელად მიწის მგელივით თავს წამომდგარ მტერსა. წყდიადითაა მოცული ბატონიშვილის მოგზაურობაც ქართლ-კახეთზე; არა სჩანს, ვინ შეუწყო ხელი უვნებლად ასულიყო თიანეთს, როგორ გადარჩა ერისთვიანთა, რუსის ყარაულებსა და პიკეტებსა. დიდად საინტერესო კია ყოველ ამის ცოდნა და გაგება. რაც ისტორიულ ფაქტების შემწეობით ვერ აღვადგინეთ, მეტი ჯანი არ არის, ის გონების თვალით უნდა წარმოვიდგინოთ და გავითვალისწინოთ; გონება კი იმას გვეუბნება, რომ ბატონიშვილის უგზო-უკვლოდ ლტოლვა საწურბლიდან ცოტად თუ ბევრად ჰგავს მეფე დავითის შვილის აბესალომის ლტოლვა-გაქცევას. ვის არ ეხსომება საღმრთო წერილიდან აბესალომის ისტორია? ვის არ წარმოუდგება საკვირველის სინამდვილით საშინელი სურათი ახალგაზდა აბესალომისა, რომელიც თვისის მშვენიერის და გრძელის თმით ჩამოეკონწიალა მუხის ტოტზე, ოდეს

> დამარცხებული მამის ჯარისაგან თავის მხლებელთა მცირე რიცხვით გარბოდა გადასარჩენად? განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ აბესალომი მამას სამეფო ტახტს ედავებოდა, ფარნაოზი კი უსამართლოდ დაკარგულს ტახტს ეძებდა; ლტოლვილი აბესალომი ფიქრობდა, როგორმე თავი გადაერჩინა მდევრისგან, ფარნაოზი კი, დევნილი მტრისაგან, მიეშურებოდა იქ, საცა მოვალეობა მიიწვევდა“ (ფრონელი, 1896, გვ. 247).

10 სექტემბერს ფარნაოზ ბატონიშვილი თელავის მაზრაში გამოჩნდა. აქედან ღამღამობით ტყე-ტყე სიარულით თიანეთში გადავიდა და მთიულეთისკენ გასწია. ბატონიშვილის გამოჩენამ კახეთის თავადაზნაურობაში, განსხვავებით ქართლის თავადებისგან, დიდი მღელვარება გამოიწვია, მათი უმრავლესობა უყოყმანოდ დადგა აჯანყების მხარეს და ფარნაოზს მამა-პაპის სამეფო ტახტის დაბრუნებაში თანადგომა გამოუცხადა. 14 სექტემბერს ალავერდობაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. საღამოს ლოცვის შემდეგ ალავერდის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბესარიონმა, რომელიც ფარნაოზის ცოლისძმა იყო, დალოცა ამ საქმის მოთავენი და მეორე დღეს კრების ყველა მონაწილე ახმეტის გზით მთიულეთისკენ გაემართა რუსი მხედრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ მათ შორის იყო ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და რამდენიმე მისი თანატოლი კახელი თავადი.

დიდი ფანტაზია არ სჭირდება იმის წარმოდგენას, თუ როგორ გადაწყვიტეს ახალგაზრდებმა მთიულეთში წასვლა, რადგან პატრიოტული გრძნობით ანთებული ახალგაზრდები ყველა დროში ერთი წესითა და ხერხით იპარებოდნენ სამშობლოს გამათავისუფლებელ ომში. გავიხსენოთ როგორ ახერხებდნენ ამას ჩვენი თაობის ახალგაზრდები აფხაზეთის ფრონტზე მოსახვედრად. შეიკრიბებოდა სადმე სამი-ოთხი თანატოლი, ჯერ ხმამაღლა ილაპარაკებდნენ ომის თემაზე, იბობოქრებდნენ, მერე იჩურჩულებდნენ, დაგეგმავდნენ გზებსა და ხერხებს, როგორც ეს წიგნებიდან (ჩვენ დროში უკვე ფილმებიდან) ახსოვდათ, მერე ჩუმად დაიშლებოდნენ, ღამეს ძილ-ღვიძილში გაატარებდნენ და დილით შეთანხმებულად ერთ დროს გადიოდნენ სახლიდან, ყველა მათგანს სახეზე ეწერა ყმაწვილური მოუთმენლობა და თავგანწირვის სურვილი...

აქ შესაძლოა იმ ეჭვის მიზეზიც ვეძებოთ, რომლის გამოც მოგვიანებით ალექსანდრე საკუთარ გადაწყვეტილებას „ცუდ გავლენას“ მიაწერდა, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ მის გულ-

წრფელობაში ეჭვი შვიტანოთ, თუმცა ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ „ხელშემწყობთა“ შორის გარსევან ჭავჭავაძის პირადი მტრებიც იყვნენ (ამგვარი მცდელობაც ხომ არაერთხელ გვინახავს, როდესაც შვილებს მამის წინააღმდეგ იყენებდნენ), რომლებიც ყველაფერს იღონებდნენ, რომ შვილი მამის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რათა გარსევან ჭავჭავაძის რეპუტაცია შეერყიათ და ამით ჭავჭავაძეთა გავლენა შეესუსტებინათ.

კახეთის თანადგომამ მთიულების სულიერი მდგომარეობა გააძლიერა, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან რამდენიმე სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულთა რიგები უკვე საკმაოდ შეთხელებული იყო და დაგვიანებული იმედი წინანდებურად ვეღარ აღაგზნებდა თავგანწირვისთვის..

> „ოქტომბრის დასაწყისში აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ციციანოვი სამხრეთიდან უტევდა, ერისთავები დასავლეთიდან ავიწროებდნენ. ფარნაოზი ცდილობდა ყაზბეგის დაკავებას, მაგრამ ჯარის ნაწილების ავანგარდმა, რომელიც ყაზანის პოლკის ერთი ასეულისა და 300 კაზაკისაგან შედგებოდა და რომელსაც პოდპოლკოვნიკი ბიხალოვი უფროსობდა, დაასწრო და ფარნაოზი იძულებული გახდა სიონისაკენ დაეხია და იქ გამაგრებულიყო. 12 ოქტომბერს მოხდა სიონთან ბრძოლა. რუსი ჯარის რიცხვი სიონთან ბრძოლისას, დუბროვინის ცნობის წინააღმდეგ, თ. ახვერდოვს ათჯერ მეტი ჰყავს დასახელებული. ერისთავისადმი წერილში იგი აღნიშნავს: „ჩვენ 300-ზე მეტნი ვართ და 30 ქვემეხი გვაქვსო“. ამ ბრძოლაში ფარნაოზის ნაწილები დიდად დაზარალდნენ. ფარნაოზმა დაკარგა 100 კაცი მოკლულთა სახით, 55 კი ტყვედ ჩავარდა“ (ტოგონიძე, 1951, გვ. 120).

მარტოდ მიტოვებულმა ფარნაოზ ბატონიშვილმა სცადა ერევნისკენ გაჭრა, საიდანაც ის თანამებრძოლებთან ერთად (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეც იყო) სპარსეთში აპირებდა გაქცევას, მაგრამ თბილისიდან 40 ვერსის დაშორებით, დემურჩასალოს მტევრის გადასასვლელზე, მას დაეწია თამაზ ორბელიანის რაზმი, რომელმაც ყველანი დაატყვევა. ორივე ბატონიშვილი საცხოვრებლად რუსეთში გადაასახლეს: იულონი – ტულაში, ფარნაოზი – ვორონეჟში. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ტამბოვში გადასახლება მიუსაჯეს.

1805 წლის შემოდგომაზე კამერ-პაჟი ალექსანდრე ჭაეჭავაძე შტაბს-კაპიტანმა ჟლეცოვმა გადააატარა კავკასიის ქედზე, მიიყვანა ქალაქ გეორგიევსკში და იქიდან წაიყვანა ტამბოვს. გზაში ტუსაღს მუდამ თან ახლდა ერთი აფიცერი და ორიც შეიარაღებული ცხენოსანი ყაზახი. ღამღამობით ან დღისით დასვენების დროს შტაბს-კაპიტანი ჟლეცოვი ითხოვდა თორმეტ ჯარისკაცს. ასეთი იყო ბრძანება თ. ციციშვლისა, „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“ და ალბათ მთავარმართებელიც იმიტომ ფრთხილობდა, რომ შეპყრობილი მეამბოხე არ გაქცეულიყო და მომავალში კიდევ არ აეტეხა მთავრობისათვის ვაივაგლახი და რაიმე უსიამოვნება (ფრონელი, 1896, გვ. 357).

ქართველი პოეტი სამი თვის განმავლობაში იბრძოდა აჯანყებულებთან ერთად. ამ სამი თვის განმავლობაში ალექსანდრემ ფარნაოზთან ერთად გაიარა სიმამაცისა და შემოქმედების სკოლა. ფარნაოზი თავისი ძმებისგანაც ბოლომდე გამოირჩეოდა იმპერიისადმი შეურიგებელი ბრძოლით, ის ამავე დროს დიდად განათლებული და შესანიშნავი პოეტიც იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, თავიდანვე მიიზიდა, დაიმოწაფა ალექსანდრეს მაძიებელი ხასიათი და როდესაც პოეტ-რომანტიკოსის ლიტერატურულ წინაპრებზე ვსაუბრობთ, სხვებთან ერთად და სხვებზე უწინ სწორედ ფარნაოზი უნდა ვახსენოთ. „ნათქვამია, თუ არ დამარცხებულხარ, ვერ გაიმარჯვებო. ალექსანდრე, როგორც პოლიტიკოსი, დამარცხდა, ალექსანდრემ, როგორც პოეტმა, გაიმარჯვა. ამ დამარცხებამ პოეტს ერთი სიკეთე მაინც მოუტანა: ყველა ის ცნობილი მუხამბაზი, ყველა ის მკვნესარე ლექსი, რომელიც შეცდომით „ყაზარმობის დროინდელ ლექსებად“ არის ცნობილი, დაწერილია ჭაბუკობისას, პ ი რ ვ ე ლ ი პატიმრობის დროს, 1804-1805 წლების ფარგლებში და არა 1832 წელს (გრიშაშვილი 1985, გვ. 367).

* * *

ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებაში არის კიდევ რამდენიმე ბოლომდე ამოუხსნელი, ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული ეპიზოდი, რომელთა შესახებაც მომავალ ბიოგრაფებს მოუწევთ საუბარი, ხოლო მათ შორის ერთი და უკანასკნელი იმ შემთხვევას შეეხება, რომელმაც 1846 წელს პოეტი იმსხვერპლა. იონა მეუნარგია მოგვითხრობს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად, რაღაც დღეობა იყო და მისალოცად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ. მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩქას“ ქუჩერმა და ალექსანდრე პარადის ფორმით მორთული დაეშვა ჭავჭავაძის ქუჩით, როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ დროს, როდესავ მას ალექსანდრეს ეტლი გაუსწორდა, ცხენი დაფრთხა და წაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლიან, თავს უშველეო. ალექსანდრემ იფიქრა ქუჩერის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა აღვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქმნა, დაეცა თავით. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტახანს იცოცხლა. ის მოკვდა იმავე ღამეს“ (მეუნარგია, 1937, გვ.39).

ერთცხენიანი სამგზავრო ეტლი „ადინაჩქა“, იგივე დროშკა, კარეტა (ამ სახის პირველი ეტლი 1790 წელს სწორედ გარსევან ჭავჭავაძემ ჩამოიტანა თბილისში), რომელიც ამ უბედურების მიზეზი გახდა, თბილისში უკვე რამდენიმე ასეული დადიოდა და მსგავსი შემთხვევაც არაერთი მომხდარა. ჯერ კიდევ 1837 წელს თბილისში, ჯვრის დაღმართზე (დღვანდელი მერაბ კოსტავას ქუჩა) რუსეთში მიმავალი ნიკოლოზ I-ის ეტლი გადაბრუნდა, იმპერატორი სასწაულად გადაურჩა სიკვდილს და სწორედ 1846 წელს ამ ფაქტის აღსანიშნავად აღმართეს თუჯის ჯვარი, რომელზედაც „ყოვლისა მხედველი თვალი“იყო გამოსახული.

როგორც ჩანს, რუსეთის იმპერიაში თვით იმპერატორის სიცოცხლეც კი არ იყო ამგვარი შემთხვევისგან დაცული და ის მთლიანად ღმერთზე იყო მინდობილი. ამ ფონზე ალბათ არ გვიკვირს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი რაღაც ძალზე ჩვეულებრივად მიიღო იმდროინდელმა საზოგადოებამ.

და მაინც, იყო თუ არა ალექსანდრე ჭავჭავაძის სიკვდილში დანაშაულის ნიშნები? ამგვარი სახის დანაშაულს ძველი ქართული სამართალი უნებლიე ბრალს უწოდებს, რომელიც შეიძლება დაიყოს სხვადასხვა სახედ: ა) უნებური მოქმედება, რომელიც პასუხისმგებლობას

არ იწვევს; ბ) უნებური მოქმედება, რომელიც გაუფრთხილებლობას შეესაბამება და მისთვის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა ამგვარ შემთხვევას ფათერაკს უწოდებს, უმეტეს შემთხვევაში კი არაგანზრახ დანაშაულს, უნებლიეთ ჩადენილ დანაშაულს, ანუ გაუფრთხილებლობას, ანუ ეს სამართალი ამკვიდრებს გაუფრთხილებლობის ცნებას, როცა ადამიანს ევალებოდა თავისი მოქმედების მავნე შედეგის გათვალისწინება და თავიდან აცილება, მაგრამ დაივიწყა ეს მოვალეობა.

ვახტანგ VI-ის სამართალში ჩვენ შემთხვევასთან ყველაზე ახლოს დგას 196-ე მუხლის შინარსი, რომელიც ვკითხულობთ:

> „თუ ვინმეს ჰყავს მრჩოლელი პირუტყვი და მეზობლები აფრთხილებენ მის პატრონს, რომ ამ პირუტყვმა შეიძლება დააზიანოს ვინმე, ხოლო პირუტყვის პატრონი არ იღებს სათანადო ზომებს, რის შედეგადაც პირუტყვმა დააზიანა ან მოკლა ვინმე, პირუტყვის პატრონი პასუხს აგებს დაუდევრობისათვის, მას უნდა გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი, მაგრამ არაფერი გააკეთა ამისათვის, რის გამოც პასუხს აგებს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის“ (მეტრეველი, 2003, გვ. 245).

ჩვენს შემთხვევაში ტრაგედია პირუტყვის, „მშვენიერი ყარაბაღული ბედაურის“ მიზეზით მოხდა და, ბუნებრივია, ბედაურის პატრონი (ქუჩერი) პასუხს აგებს იმისთვის, რომ მან ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგი, ეტლში შეაბა მფრთხალი ცხენი, თუმცა იცოდა (უნდა სცოდნოდა) ბედაურის ზნე და ხასიათი. „ქუჩერი“ ყოველგვარი მოულოდნელობისთვის მზად უნდა ყოფილიყო და მგზავრისთვის მისი დაგვიანებული რჩევა თუ გაფრთხილება, „თავს უშველეო“, რაც გაქანებული ეტლიდან გადახტომას გულისხმობდა, არცთუ უხიფათო ჩანს.

თანამედროვე სამართალი იცნობს გაუფრთხილებლობით დანაშაულს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

ჩვენი საუკუნე ბევრად უფრო ეჭვიანია, რადგან შეიცვალა დანაშაულის სტრუქტურა, შეიცვალა მის მიმართ გამოძიების ინტერესი. ეს

შემთხვევა რომ დღეს მომხდარიყო, ძიება აუცილებლად გაჰყვებოდა ბედაურის წარმომავლობის საკითხს, ქუჩერის ვინაობას, მიზეზობრივი კავშირის დადგენას გაუფრთხილებლობასა და შედეგს შორის. მაგრამ ეს შემთხვევა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ისტორიამ კი უყურადღებო მკითხველივით მიაფუჩეჩა ეს საკითხი და დღეს იმაზეც ვერ შეთანხმებულან, განსვენებულის შინელის კალთა მოყვა ეტლის ბორბლებში თუ ფრაკის, ზოგიერთი პალტოსაც ახსენებს... ჩვენ ალბათ პირველ ვერსიას უნდა დავუჭიროთ მხარი, რადგან ალექსანდრე საპარადო ფორმაში იყო გამოწყობილი, რუსი გენერლის საპარადო ფორმა კი უთუოდ შინელს გულისხმობდა და არა ფრაკს, არც პალტოს... შინელი ხომ უფრო სიმბოლურიცაა, ფრანგულმა ეტლმა ბორბლებში სწორედ რუსული შინელის კალთა ჩაიხვია და ალექსანდრეც თან ჩაიყოლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაგრატიონი, ი. (2014). ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

გრიშაშვილი, ი. (1985) თხზულებანი, III, ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ინგილო, რ. (1932). ჟურნალი „კავკასიონი-8“, საქართველოს სამეფოს ვითარება რუსეთის მოსვლის წინ. პარიზი: „ქართველ მწერალთა გამოცემა“.

იოსელიანი, პ. (1936). ცხოვრება გიორგი მეთორმეტისა, ტფილისი: „ფედერაცია“.

მეტრეველი, ვ. (2003). ქართული სამართლის ისტორია, თბილისი: „მერიდიანი“.

მეუნარგია, ი. (1937). ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილისი: „საქ. კ. პ. (ბ) კ. კ. გამ-ბა“.

ტოგონიძე, ვ. (1951). ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804). თბილისი: „საქართველოს სახელმწიფო. გამომცემლობა“.

ფრონელი, ალ. (1896). მთიულეთი 1804, ტფილისი: „ქართველთა ამხანაგობის სტამბა“.

ქიქოძე, გ. (1985). რომანტიკოსთა თაობა, თბილისი: „მერანი“.

ჭავჭავაძე, ა. (1992). ქართული მწერლობა, ტ IX, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-1831, თბილისი: „ნაკადული“.

ჯავახიშვილი, ი. (1919). დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი: სახელმწიფო სტამბა.

References:

Bagrat'ioni, I. (2014). Kartuli lirik'is antologia (1765-1825), [Anthology of Georgian Lyrics (1765-1825)]. Tbilisi: „Tsu gam-ba".

Ch'avach'vadze, Al. (1992). Kartuli mts'erloba, t' IX, Sakartvelos mok'le ist'oriuli nark'vevi 1801-1832, [A brief historical essay on Georgia 1801-1832], Tbilisi: "nak'aduli".

Grishashvili, I. (1985). Tkhzulebani, III, Tskhovreba Aleksandre Ch'avch'avadzisa, [Essays, III, The Life of Alexander Chavchavadze], Tbilisi: "Sabch'ota sakartvelo".

Ingilo, R. (1932). "K'avk'asioni-8", Sakartvelos samepos vitareba rusetis mosvlis ts'in, [The situation of the Kingdom of Georgia before the comming of Russia], P'arizi: "kartvel mts'eralta gamocema".

Ioseliani, P. (1936). Tskhovreba Giorgi Metormet'isa, [The Life of George XII], T'pilisi: "Pederatsia".

Javakhishvili, I. (1919). Damok'idebuleba Rusetsa da Sakartvelos shoris XVII sa-uk'uneshi, [Relations between Russia and Georgia in the 18th century], Tbilisi: "Sakhelmtsipo st'amba".

Kikodze, G. (1985). Romant'ik'osta taoba, [The Romantic Generation], Tbilisi: "Sabch'ota sakartvelo".

Met'reveli,V. (2003). Kartuli samartlis ist'oria, [History of Georgian Law], Tbilisi: "Meridiani".

Meunargia, I. (1937). Aleksandre Ch'avach'vadze [Alexander Chavchavadze], Tbilisi: "Sak. k'. p'. gam-oba".

Proneli, Al. (1895). Mtiuleti 1804, [Mtiuleti 1804], Tbilisi: "kartvelta amkhanagobis st'amba".

T'ogonidze, V.(1951). Kartlis mtianetis ajany'eba (1804) [Kartli Mountain Uprising], Tbilisi: "Sakartvelos sakhelmts'ipo gamomtsemloba".